საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი

ბრძანება №1777

ქ. თბილისი

„18" 05 2018 წ.

საუკეთესო საგრანტო განაცხადის გამოვლენის თაობაზე

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის N246 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის" მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის, საგრანტო კომისიის სხდომის 2018 წლის 16 მაისის N3 ოქმისა და მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 17 მარტის N 02-02/04-4517 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა" - საგრანტო პროგრამა N 002-2018 ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს ა(ა)იპ „საზოგადოებრივი დამცველი" ჯამური ქულით 560.

2. დაევალოს იურიდიულ დეპარტამენტს, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ ბრძანების პირველი პუნქტის გათვალისწინებით საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მომზადება და „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს

მთავრობის 2011 წლის 14 მარტის N126 დადგენილების 1^1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.

3. დაევალოს სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტს, ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული ღონისძიების განხორციელების შემდეგ, გამარჯვებულ ორგანიზაციასთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

4. ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველომ (მ. გორდულაძემ) უზრუნველყოს ამ ბრძანების ასლის მიწოდება კომისიის წევრებისათვის, ასევე მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების, საფინანსო და იურიდიული დეპარტამენტებისათვის.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს შოთა რეხვიაშვილს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი ზაზა სუბარი